ხელშეკრულება №87
ნორმატიული აქტების საინფორმაციო – საძიებო სისტემა
"კოდექსი R3"–ის ინფორმაციულ მომსახურების შესახებ

ქ. გორი

27 დეკემბერი 2018 წ.

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

1.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტისა და 2015 წლის 17 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-2 მუხლის "ა" პუნქტის თანახმად, ერთი მხრივ (შემდგომში **შემსყიდველი**) გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია (მისამართი: ქ.გორი, ფერაძის ქ. №5) სახელმწიფო რწმუნებულის გიორგი ხოჯევანიშვილის სახით და მეორე მხრივ (შემდგომში **მიმწოდებელი/შემსრულებელი**) შპს „ინფორესვისი" (მისამართი: ქ. თბილისი, კ ხეთაგუროვის ქ. №4) მისი გენერალური დირექტორის ზურაბ თეთრაძის სახით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საკომუნიკაციო და მულტიმედიის პროგრამული პაკეტების (CPV485) შესყიდვა, კერძოდ შემსრულებელი გადასცემს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საინფორმაციო საძიებო სისტემას „კოდექსი – ოფისი 2007 R3" (შემდგომში "კოდექსი–ოფისი") (სისტემა მუშაობს ოპერაციულ სისტემებში – MS WINDOWS 7/8/XP sp3, და შედგება სამი პროგრამისაგან :

ა) "კოდექსი R3"

ბ) „კოდექსი R3 – კოდიპიცირებული"

გ) „კოდექსი R3 – საერთაშორისო ხელშეკრულებები"

2.2 "კოდექსი R3" მოიცავს":

– საქართველოს კონსტიტუციას;

– საქართველოს პარლამენტის კანონებსა და დადგენილებებს;

–საქართველოს პრეზიდენტის (პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფო მეთაურის) ბრძანებულებსა და განკარგულებებს;

–საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებებს, გადაწყვეტილებებსა და პლენუმის დადგენილებებს;

–საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის (მინისტრთა საბჭოს, მინისტრთა კაბინეტის) ძირითად დადგენილებებს.

–საქართველოს ეროვნული ბანკის, საგადასახადო სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ 1993 წლის 1 იანვრიდან მიღებულ ძირითად კანონქვემდებარე და ნორმატიულ აქტებს (დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები, მითითებები, წერილები დ ა.შ.);

– ქ. თბილისის საკრებულოსა და მერიის დადგენილებებს,გადაწყვეტილებებს, ბრძანებებს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებებს;

–სამინისტროების, კონტროლის პალატის, გენერალური პროკურატურის სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურების (დეპარტამენტები, კომისიები, სააგენტოები და სხვა) მრავალ დოკუმენტს.

2.3 "კოდექსი R3 კოდიფიცირებული" მოიცავს საქართველოს ყველა კოდიფიცირებულ კანონსა და კოდექსს;

2.4 "კოდექსი R3 – საერთაშორისო ხელშეკრულებები" მოიცავს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, ოქმებს, დეკლარაციებს, მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, საერთაშორისო კონვენციებს;

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 600 (ექვსასი) ლარით

3.2 მონაცემთა ბაზების ყოველთვიური ინფორმაციული მომსახურეობა ერთ კომპიუტერზე ანაზღაურდება თვეში **40 (ორმოცი)** ლარის ოდენობით, ხოლო "კოდექს–ოფისი"–ს სხვა კომპიუტერებზე დაყენების შემთხვევაში, ყოველ დამატებითი კომპიუტერისათვის აღნიშნულ თანხას თვეში დაემატება **10 (ათი)** ლარი.

3.3 ზემოთ ჩამოთვლილი ყველა თანხა მოიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს.

4. სამუშაოს შესრულების ეტაპობრივი ვადები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღრული მომსახურება გაწიოს 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 გასაწევი მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შასაბამისი დოკუმნეტის (ანგარიშფაქტურის) წარმოდგენის შემდეგ.

5.2 გასაწევი მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, დაწუნებული გაწეული მომსახურების წუნდების მიზეზების მითითებით.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1. გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, გაწეული მომსახურების საერთო ღირებულების შესაბამისად.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2 შემსრულებელი ვალდებულია განახორციელოს "კოდექს–ოფისი–ს" ინფორმაციული განახლება არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღების შესაბამისად.

8.2.1 "კოდექს–ოფისი"–ს ინფორმაციული განახლება მოხდება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.

8.3 შემსრულებელი არ იღებს პასუხისმგებლობას "კოდექსი–ოფისი"–ს მონაცემთა ბაზაში შეტანილი ინფორმაციის უშეცდომობაზე, ასევე, ნებისმიერი სახის ზიანზე რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას შეცდომების შედეგად, მათი არსებობის შემთხვევაში.

8.4 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს შესრულებული მომსახურების საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

8.5 შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას საინფორმაციო–საძიებო სისტემა "კოდექს–ოფისი" არასანქცირებული გამრავლებისაგან.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1შემსყიდველი უფლებამოსილია შემოტანილი საქონლის მოწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად მოუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4 (ოთხი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება და/ან არაჯეროვნად შესრულება

განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.
9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულ იქნა ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა დაუძლეველი ძალით. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაშია 2019 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 იანვრამდე.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოსცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
13.2. შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.
13.4. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაცის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

14.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
14.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმოწერ მხარეებთან.

ყოველივე ზემო აღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი: გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტარცია, სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი
(შემსყიდველის სახელიგვარი,თანამდებობა)

ხელმოწერა

ბ.ა

საბანკო რეკვიზიტები
შემსყიდველის ბანკი: საქართველოს სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE24NB0330100200165022
საინდეტიფიკაციო კოდი: 217889514
ტელ: 032 228 5707

მიმწოდებელი: შპს „ინფოსერვისი“
დირექტორი ზურაბ თეთრაძე
(მიმწოდებლის სახელი,გვარი,თანამდებობა)

ხელმოწერა

ბ.ა

საბანკო რეკვიზიტები
მომწოდებლის ბანკი:სს „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE76 TB72 7463 6020 1000 02
საიდენტიფიკაციო კოდი: 200001229
ტელ: 2 95 10 36

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ.გორი 29 დეკემბერი 2018 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ საკომუნიკაციო და მულტიმედიის პროგრამული პაკეტების შესყიდვისთვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში
სახელმწიფო რწმუნებული — გიორგი ხოჯევანიშვილი

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში
სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი — გვანცა ცომაია

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან
ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის
ფუნქციების შემსრულებლის — ნინო ბერკაცაშვილი